პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ შრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 17 დეკემბერი, 1942 წ. № 297 (6613). ფასი 15 კაპ.

საკოლმეურნეო სოფლის დახმარება ფრონტისადმი

ამხანაგ სტალინის ისტორიული საოქტომბრო მოხსენებისა და ბრძანების სიტყვები ღრმად ჩასწვდნენ გულში კოლმეურნე კაცებსა და ქალებს, კიდევ უფრო გაამხნევეს ისინი.

საუცხოოდ გამოხატა საბჭოთა სოფლების მშრომელთა განწყობილება სოფ. ბატიუნინოს (მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. სინევმა. მიტინგზე კოლმეურნეთა სახსრებით აგებული [illegible]

[illegible]

ლები აგროვებენ სახსრებს ტანკების ახალი კოლონებისა და საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილიების მშენებლობისათვის. ტამბოველი და სარატოველი კოლმეურნეების მიერ დაწყებული საქმე ახლა ჭეშმარიტად საყოველთაო - საკოლმეურნეო საქმე ხდება.

საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრმა ძალამ თავი იჩინა ყირგიზეთის სს რესპუბლიკის ოშის ოლქის კოლმეურ[illegible]

[illegible]

„პრავდის" მოწინავე, 16/XII.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი— ამხანაგ სტალინს

ივანოვოს ოლქის კოლმეურნე ქალებმა და კაცებმა, ჰბაძავენ რა ტამბოველი კოლმეურნეების კეთილშობილურ პატრიოტულ თაოსნობას, გადასწყვიტეს შეაგროვონ სახსრები სატანკო კოლონა „ივანოველი კოლმეურნის" ასაგებად. პირველ ხუთ დღეში კოლმეურნე ქალებმა და კაცებმა შეაგროვეს 65.187.000 მანეთი პირადი დანაზოგიდან. გრძელდება ფულის შემოტანა სატანკო კოლონისათვის. სახსრების შეგროვება მიმდინარეობს, როგორც ფრონტისა და ზურგის ერთიანობის საბრძოლო დემონსტრაცია და როგორც გამოხატულება კოლმეურნე გლეხობის მხურვალე მისწრაფებისა ყოველნაირად დაეხმაროს წითელ არმიას, შეასრულოს თქვენს, ამხანაგო სტალინ, საოქტომბრო მოხსენებასა და ბრძანებაში დასმული ამოცანები და ამით მიაღწიოს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მალე და სავსებით განადგურებას.

საქ. კ. პ. (ბ) ივანოვოს ოლქკომის მდივანი პალცევი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

16 დეკემბრის დილის ცნობა

15 დეკემბრის ღამის განმავლობაში სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში 6 ნაწილის მებრძოლებმა ღამით გა[illegible]

[illegible]

ტრეული 2 ორთქლმავალი და 7 ვაგონი. პარტიზანთა სხვა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა 2 ეშელონი. მოსპობილია 2 ორთქლმავალი და 48 პლატფორმა სამხედრო ტექნიკიანად. მატარებელთა მოძრაობა რკინიგზის ამ უბანზე რამდენიმე დღით იყო შეწყვეტილი.

* * *

[illegible]

გრის ტანკი, 17 ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი, საწყობი, მრავალი შაშხანა, გრანატი, ყუმბარა და ვაზნა.

ველიკიე ლუკის რაიონში ჩვენი ნაწილები ეწეოდნენ ბრძოლებს გერმანელთა ბლოკირებული გარნიზონების მოსასპობად.

* * *

ბარანოვიჩის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანთა ჯგუფმა მტრის სარკინიგზო ეშელონის მარცხი მოაწყო. დამ[illegible]

[illegible]

დოებრივი სახლი, მოსპეს სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ინვენტარი. არასრული ცნობებით, გერმანელ დამპყრობთა მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელ „ვერნი პუტისა" და კოლმეურნეებისათვის მიყენებული ზარალი 3 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს". აქტს ხელს აწერენ: ხოფლსაბჭოს თავმჯდომარე რ. კალაშნიკოვი, კოლმეურნეები პ. გრინკო, ი. კობრიგინი და ა. ქუკოვა.

16 დეკემბრის საღამოს ცნობა

16 დეკემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

სუროვიკინოს დასავლეთით მდებარე დასახლებული პუნქტის დაკავებისას ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 305 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 1.500-მდე ავტომანქანა, ორი სარკინიგზო შემადგენლობა სამხედრო ქონებიანად, საწყობები საომარ მასალიანად, აგრეთვე ბევრი სხვა საომარი საჭურველი.

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ვერხნე-კუმსკის რაიონში ორი დღის ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს ამ რაიონში [illegible]

[illegible]

რჟევ-ვიაზმის გზის რაიონში ჩვენი ქვეითი ჯარის ცალკეული რაზმები ეწეოდნენ ბრძოლებს თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად და მოსპეს გერმანელთა 5 ტანკი და 3 თვითმავალი ზარბაზანი.

* * *

მოზდოკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა სძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და დაიკავეს სამი დასახლებული პუნქტი. გერმანელებმა სცადეს შეეჩერებინათ ჩვენი ჯარების წინსვლა და ერთი პოლკი ქვეითი ჯარითა და ტანკებით რამდენჯერმე მოიტანეს უშედეგო კონტრიერიში. ამ ბრძოლაში გვარ[illegible]

[illegible]

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ნაწილები ცეცხლით ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან. ერთ უბანზე გერმანელებმა სცადეს დაებრუნებინათ წინა დღით დატოვებული პოზიციები და რამდენჯერმე მოიტანეს კონტრიერიში ჩვენს ქვეგანაყოფებზე. ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში მოგერიებულია. ყველა სახეობის იარაღის ცეცხლით მოსპობილია მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი და 5 ტანკი. სხვა უბანზე საბჭოთა მზვერავებმა ააფეთქეს მტრის 2 საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე რჟევის დასავლეთით მდებარე რაიონში ნ ნაწილის მებრძოლებმა განდევნეს მტერი დიდი დასაყრდენი პუნქტიდან. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-ზე მეტი გვამი და დიდძალი ტექნიკა. მეზობელ უბანზე ნ შენაერთის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის მთელი რიგი კონტრიერიშები და მოსპეს 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაახიანეს და დასწვეს 16 ტანკი, 1 საარტილერიო და 2 სანაღმსატყორცნო ბატარეა.

[illegible] არამზადებმა მოაწყეს დიდი ბანაკი იმ მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უარი სთქვეს წასულიყვნენ გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე. ბანაკში დატყვევებულთ ჰიტლერელები შიმშილით ხოცავენ და რამდენიმე დღის განმავლობაში ზედიზედ არავითარ საჭმელს არ აძლევენ. ბანაკში ყოველდღე კვდება 10-15 კაცი.

* * *

საფრანგეთის მთელ რიგ რაიონებში პარტიზანული მოძრაობა ვითარდება. საფრანგეთის არმიის ბევრმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა, რომლებიც დემობილიზებულ უნდა იქნან, იარაღი გაიტაცა და თავისუფალ მსროლელთა რაზმებს შეუერთდა. ფრანგ პატრიოტთა მცირე რაზმები საფრებს აწყობენ და თავს ესხმიან გერმანელთა ტრანსპორტებს, დივერსიულ აქტებს ახდენენ რკინიგზებზე. პარიზ-ბიარიცის და პარიზ-მარსელის გზებზე ერთი კვირის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაგდებულია გერმანელთა 11 ეშელონი ჯარებიანად და საომარ ტვირთებიანად. პარტიზანთა აქტიური მოქმედების შედეგად მოკლული და დაჭრილია ბევრი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი.

გ. თ. სტურუა—„საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ზოგიერთი ამოცანების შესახებ"

„ზარია ვოსტოკამ" რუსულ ენაზე გამოსცა გ. თ. სტურუას ბროშურა—„საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ზოგიერთი ამოცანების შესახებ".

ბროშურა წარმოადგენს პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებზე 1942 წლის 22 ოქტომბერს თბილისში შემდგარ სარესპუბლიკათაშორისო თათბირზე ამხ. გ. სტურუას გამოსვლის შემოკლებულ სტენოგრამას.

ამხ. გ. სტურუა თავის ბროშურაში მკაფიოდ ახასიათებს ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ სამამულო ომის ვითარებაში საავგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ამოცანებს, ეხება მის ფორმებს, მკითხველს საინტერესოდ მოუთხრობს, ბოლშევიკები თუ როგორ აწარმოებდნენ აგიტაცია-პროპაგანდას ძველ დროს და სხვ.

ბროშურის მიზანია დაეხმაროს აგიტატორ-პროპაგანდისტებს მათს მუშაობაში. „საავგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ზოგიერთი ამოცანების შესახებ" შეიცავს 23 გვ. და ღირს 30 კაპ.

ავაგოთ სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნე"

კოლმეურნეები მთელი ძალღონით ისწრაფვიან დააჩქარონ მტრის განადგურება

საუბარი საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივან ამხ. ვ. ცხოვრებაშვილთან

ტამბოველ კოლმეურნე ქალთა და კაცთა პატრიოტულ ინიციატივას, რომელთაც 40.000.000 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონის ასაგებად, დიდი აღფრთოვანებით შეეგებნენ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეები.

ტამბოველთა ძაგალითის მიხედვით სატანკო კოლონის ასაგები სახსრების შეგროვება ოლქში პირველად დაიწყეს ზნაურის რაიონის სოფელ ამლევის კოლმეურნეობის წევრებმა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. პილიევმა 2.000 მანეთი ნაღდი ფული შეიტანა. 70 წლის მოხუცმა კოლმეურნე ვ. პილიევამ სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" ასაგებ ფონდში შეიტანა 700 მანეთი და განაცხადა:

— მე ახალგაზრდა კოლმეურნე ქალთა თანაბრად ვიმუშავებ, რათა ჩემი სტახანოვური შრომით დავეხმარო ჩვენს შვილებს — მამაც წითელ მებრძოლებს დაიცვან ჩვენი სამშობლო, სადაც ასეთი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება აქვს მშრომელ ადამიანს.

მხურვალე პატრიოტული გრძნობით იყო გამსჭვალული კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის (სტალინირის რაიონი) იმ წევრთა სიტყვები, რომელთაც ნაღდ ფულად შეაქვთ თავიანთი შრომითი დანაზოგი სატანკო კოლონის ასაგებ ფონდში. აქ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. ქრისტესიაშვილმა შეიტანა 3.000 მანეთი, კოლმეურნე ა. საბანოვმა — 2.000 მანეთი, კოლმეურნე ქალებმა ტ. ბერუშვილმა — 1.500 მანეთი, ა. ცოტიაშვილმა — 1.000 მანეთი, სულ კოლმეურნეობაში ტანკების ასაგებად 64.000 მანეთი გაიღეს.

სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" ასაგები სახსრების შეგროვების ორი დღის განმავლობაში ჩვენი ოლქის კოლმეურნეობებში შეგროვილია ნაღდად და გადარიცხულია სახბანკის რაიონულ განყოფილებაში 1.800.000 მანეთი. სახსრების შეგროვება გრძელდება. (საქინფორმი).

ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის

მახარაძე („კომუნისტის" საკ. კორ.). სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" მშენებლობის ფონდში სახსრების შეტანა ცხოველებით მიმდინარეობს. სახბანკის მახარაძის [illegible] 1.000.200 [illegible]

ნეობების წევრებმა ათ-ათი ათასი მანეთი შეიტანეს, სოფ. ზვანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ტიტე დანელიამ [illegible] მანეთი შეიტანა, დავით ქუტიძემ [illegible]

ერთ დღეში—728.000 მანეთი

[illegible] გროვება სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" ასაგებად. მარტო ერთ დღეს — 16 დეკემბერს კოლმეურნეებმა შეაგროვეს 728.000 მანეთი.

სოფ. ველისციხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის 41 წევრმა სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" ასაგებ ფონდში შეიტანა 17.800 მანეთი. ამხ. მ. სეხნიაშვილმა 1.500 მანეთი გაიღო; ამავე სოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში შეაგროვეს 19.000 მანეთი, სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში — 13.800 მანეთი, ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში — 12.500 მანეთი, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში — 10.00 მანეთი, კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანებაში" — 9.000 მანეთი. სტალინის, მოლოტოვის და ბერიას სახელობის კოლმეურნეობათა წევრებმა კ. ტატოშვილმა, ს. გაბიტაშვილმა და ლ. ჩითაევმა თითოეულმა შეიტანა 2.000 მანეთი.

[illegible] ნა 1.200 მანეთი, მისმა ქალიშვილმა მოსწავლე ციალამ — 200 მანეთი; 1.200 მანეთი შეიტანა ამავე კოლმეურნეობის პარტორგმა ს. [illegible]ირაშვილმა.

სოფ. ბოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 2 საათის განმავლობაში 10.000 მანეთი შეაგროვეს. ამ კოლმეურნეობის ბუღალტერმა ზ. ჭულაშვილმა შეიტანა 3.000 მანეთი, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პ. ვორონცოვმა — 2.000 მანეთი, სოფ. ყანდაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. სირაძემ—3.000 მანეთი.

შილაანის სასოფლო საბჭოში შეგროვილია 40.000 მანეთი, ყარდანახის სასოფლო საბჭოში — 34.000 მანეთი, კაჭრეთისაში — 32.000 მანეთი, შრომისაში — 15.040 მანეთი და ა. შ.

სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" ასაგებად სახსრების შეგროვება გურჯაანის რაიონში კვლავ წარმატებით მიმდინარეობს.

ტამბოვისა და ორიოლის ოლქების კოლმეურნეთა პასუხად

გორი (ტელეფონით). გორის რაიონის სოფელ კარალეთის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც წარმატებით შეასრულა 1942 წლის ყველა სახის სახელმწიფო ვალდებულებანი, უდიდესი აღფრთოვანებით გამოეხმაურა ტამბოვისა და ორიოლის ოლქების კოლმეურნეთა პატრიოტულ ინიციატივას სატანკო კოლონის ასაგებ ფონდში თანხების შეგროვებისა და პირადი მეურნეობიდან წითელი არმიისათვის სურსათის გამოყოფის საქმეში.

სოფელ კარალეთის კოლმეურნეებმა სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" ფონდში უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში შეიტანეს 110.000 მანეთი, და თავის პირადი მეურნეობებიდან გამოჰყვეს: 100 ტონა მარცვლეული, 3 ტონა კომპოსტო, 5 ტონა ბზე და ნახევარი ტონა ხორცი.

[illegible] თანხა და სურსათ-სანოვაგე უკვე ჩაბარდა დანიშნულებისამებრ.

კარალეთის ლ. პ. ბერიას სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალ. შარაშიძე.

უკრაინელი ახალგაზრდობის წარმომადგენელთა მიტინგი, მიძღვნილი უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 25 წლისთავისადმი

მოსკოვში შესდგა უკრაინელი ახალგაზრდობის წარმომადგენელთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის XXV წლისთავს. მიტინგის გახსნისას უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ ხომენკომ სთქვა:

— მოკლე დღეებში აღვნიშნავთ ჩვენი საბჭოთა უკრაინის XXV წლისთავის ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღს. მშობლიური უკრაინა დროებით დაპყრობილია ჰიტლერის ურდოების მიერ. ფაშისტებმა უკრაინაში 2 მილიონზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები [illegible]

წარჩინებულმა მეჭარხლე კოლმეურნემ მარიამ დემჩენკომ, აღმოსავლეთში ევაკუირებული კომინტერნის სახელობის ხარკოვის ქარხნის ზეინკალმა იური ლევჩენკომ, უკრაინელმა პოეტმა ანდრია მალიშკომ, უკრაინის წარჩინებულმა მეშახტემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა ალექსი სიმივოლოსმა და ტრაქტორისტმა ნადეჟდა ანგელინამ. მოსკოვის კომკავშირის სახელით უკრაინელი ახალგაზრდობის მიტინგის მონაწილეთ მიესალმა საკ. ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ალექსანდრე შელეპინი.

[illegible] ტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს უკრაინის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს [პრეზ]იდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გრეჩუხამ, [უკრა]ინელმა პარტიზანმა ამხ. ალექსანდროვმა, [საბჭო]თა კავშირის გმირმა ივანე შჩიპუნმა. [illegible] ხელმძღვანელს ნ. ს. ხრუშჩოვს.

დიდი აღფრთოვანებით მიღებულ იქნა მიმართვა უკრაინის ახალგაზრდობისადმი.

მიტინგი ტრანსლირებულ იქნა რადიოთი. (საკდესი).

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით

მოქმედი არმია, 16 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით გრძელდება [სასტიკი] ბრძოლები. მტერი გაშმაგებულ წინააღმდეგობას გვიწევს და ცდილობს ხშირი გაათრებული კონტრიერიშებით შეაჩეროს საბჭოთა ქვეითებისა და ტანკების მიმართ[illegible].

[illegible] ხუტორის ახლოს გერმანელებმა კონტრიერიში მოიტანეს შემტევ 6 მსროლელ[ზე] [illegible]ლზე. მტრის ქვეითი ჯარი 20 ტანკის საფარქვეშ მოემართებოდა. კონტრიერიშს ხელს უწყობდა მძიმე არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ძლიერი ცეცხლი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელსაყრელი ზღუდე დაიკავეს რამდენიმე მაღლობზე, ახლო მანძილზე მოუშვეს ფაშისტები და თოფ-ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნის შეწყობილი ცეცხლით შეხვდნენ მათ.

დიდი სიმკვრივის მრავალფენიანი ცეცხლი თავს დაატყდა ჰიტლერელთა საბრძოლო წყებებს და მოსწყვიტა ქვეითი ჯარი ტანკებს. იმ დროს, როცა ჯავშანსატეხელები და არტილერისტები მტრის ტექნიკას სპობდნენ, ჩვენი ქვეითები ხელჩართულ ბრძოლაში ეკვეთნენ ჰიტლერელებს და აიძულეს ისინი თავდაპირველ პოზიციებზე დაეხიათ.

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით წარმოებულ ბრძოლებში ძალიან ხშირია ჩვენი მებრძოლებისა და მეთაურების მასობრივი გმირობის, მამაცობისა და უშიშრობის მაგალითები. მოწინააღმდეგის კონტრიერიშის მოგერიებისას, რომელიც ცდილობდა დაებრუნებინა წინადღით დაკარგული პოზიციები, თავი გამოიჩინეს სლატოვის მეთაურობით მოქმედმა მებრძოლებმა. როცა გერმანელი მეავტომატეების ჯგუფი ცდილობდა მარცხენა ფლანგიდან შემოევლო ნაწილისათვის, სლატოვი პირადად გაუძღვა ერთ-ერთ ქვეგანაყოფს მტრის წინააღმდეგ. გერმანელი მეავტომატენი მთლიანად მოსპობილ იქნენ. სერჟანტმა გაიდულინოვმა გრანატების კონებით ცეცხლი წაუკიდა მტრის ორ ტანკს.

ფართოდ მოედო ფრონტს ორი გვარდიელი მეავტომატის—ომელიანჩენკოს და ხარიტონოვის გმირობის ამბავი. მათ საფარში ყოფნის დროს შეამჩნიეს მტრის ჯარისკაცთა ჯგუფი, რომლებსაც ტყვე წითელარმიელები მიჰყავდათ. გადაწყვეტილება მყისვე მომწიფდა. როცა ჯგუფი მოუახლოვდა ჩვენს მეავტომატეებს, ამ უკანასკნელებმა სროლა აუტეხეს მცველებს. მტრის ჯარისკაცებს თავგზა აებნათ. მათი დაბნეულობით ტყვე მებრძოლებმა ისარგებლეს, ისინი ომელიანჩენკოსა და ხარიტონოვთან ერთად ეკვეთნენ ჰიტლერელებს. 20 მათგანი გაჟლიტეს მათთვისვე წართმეული იარაღით, ხოლო 4 ტყვედ წამოიყვანეს.

საბჭოთა მოიერიშე და ბომბდამშენმა ავიაციამ დღის განმავლობაში მოსპო მტრის ჯარების დაჯგუფებანი.

ზ. ლიპავსკი

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით

მოქმედი არმია, 16 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ და პოზიციებს იუმჯობესებდნენ.

ერთ-ერთ უბანზე გაჩაღდა ბრძოლა იმ ზოლისათვის, სადაც გერმანელებს ძლიერი თავდაცვა შეექმნათ. ჰიტლერელები შეუპოვრად იცავდნენ თავს და რამდენჯერმე სცადეს კონტრიერიში მოეტანათ საბჭოთა ჯარებზე. სამი უშედეგო ცდის შემდეგ მტერმა თავდაპირველ პოზიციებზე დაიხია. მაშინ მტრის ზღუდეს საბჭოთა ტანკებმა შეუტიეს. ისინი გერმანელთა სანგრების წინა ხაზში შეიჭრნენ. ჩვენმა ტანკისტებმა მუხლუხებით გასრისეს მტრის რამდენიმე ბლინდაჟი, რამდენიმე ტყვიამფრქვევი და ზარბაზანი. ბრძოლის შედეგად მოსპობილ იქნა ბევრი ჰიტლერელი. საბჭოთა მებრძოლებმა მტრის ზღუდე დაიკავეს.

ერთ-ერთ სექტორში ჩვენი ქვეგანაყოფები ბრძოლით ეწეოდნენ დაზვერვას. გერმანელებმა ძლიერი სროლა ასტეხეს. გამოჩნდნენ მტრის თვითმფრინავები. წითელარმიელები ჩაწვნენ. როცა თვითმფრინავები გაზზე გავიდნენ, იერიშზე მიმავალ საბჭოთა ქვეითა ჯარს რამდენიმე ქვემეხი მიეშველა. ბატარეებმა იწყეს მტრის საცეცხლე წერტების განადგურება პირდაპირი სროლით. არტილერიის დახმარებით ჩვენი მსროლელები და მეავტომატეები მტრის განლაგებაში შეიჭრნენ. მტერი განდევნილ იქნა იმ პოზიციებიდან, რომლებიც მას ეჭირა.

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. რაიკომების პლენუმები

ლენინის რაიონი

15 დეკემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის XIII პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: ლენინის რაიონის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში შრომითი და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობის შესახებ; ანგარიში ლენინის რაიონის პარტორგანიზაციებში 1942 წლის 1 ივლისიდან 10 დეკემბრამდე საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების შესახებ.

პირველი საკითხის გარშემო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ნ. ბაიდაშვილი.

მომხსენებელმა ილაპარაკა გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პირობებში მშრომელთა თავდადებულ მუშაობაზე გმირი წითელი არმიის დასახმარებლად. აღნიშნა, რომ იქ, სადაც პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დგას, შრომითი და საწარმოო დისციპლინა მტკიცეა. თბილისის ელექტროდეპოში, სატრიკოტაჟო კომბინატში, სარემონტო-მექანიკურ, ელექტრო-ტექნიკურ ქარხნებში, აგრეთვე თბილისის საბარგო სადგურში მინიმუმამდე დაიყვანეს შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ქარხანა „კრასნი მოლოტში" უკანასკნელ ოთხ თვეში შრომის დისციპლინის დარღვევის მხოლოდ სამი შემთხვევა იყო, ელექტრო-ტექნიკურ ქარხანაში კი 11 თვეში 6 შემთხვევა. ქარხნის ხელმძღვანელობამ დისციპლინის დამრღვევთა მიმართ მიიღო გადამჭრელი ზომები.

მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი საწარმოები, სადაც შრომის დისციპლინა საგრძნობლად მოისუსტებს. ქარხანაში, სადაც დირექტორად არის ამხ. ბ. სარიშვილი, შემდუღებელმა ა. ვოლკოვმა რამდენიმე დღე თვითნებურად მიატოვა სამუშაო, ქარხნის ადმინისტრაციამ, ნაცვლად იმისა, რომ პასუხისგებაში მიეცა ვოლკოვი, იგი მხოლოდ შედარებით დაბალ თანამდებობაზე გადაიყვანა.

შრომის მაღალი დისციპლინისათვის სუსტად იბრძვიან მე-7 სამკერვალო ფაბრიკა, ქარხანა, სადაც დირექტორად არის ამხ. ბასილაშვილი, და სხვ. მე-7 სამკერვალო ფაბრიკაში გამცდენების—მ. ლალაშვილისა და ო. ფარამონენკოს საქმე თვეობით გააჭიანურეს, ვიდრე სასამართლოს გადასცემდნენ.

ამხ. ნ. ბაიდაშვილის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. სარიშვილმა, კონუემ, ნეფარიძემ, აბრამოვმა, ხაინდრავამ, ბარსეგიანმა, გოგლიძემ, ქლენტმა და ტოგონიძემ.

ლენინის რაიონის პარტორგანიზაციებში პარტიაში მიღებისათვის 1942 წლის 1 ივლისიდან 10 დეკემბრამდე ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ო. აბულაძე.

მეორე საკითხის ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ბახტაძემ, იკონიკოვმა და დოქსოპულომ.

პლენუმმა ორივე საკითხის ირგვლივ მიიღო სათანადო რეზოლუცია.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ჩერქეზიამ.

სტალინის რაიონი

15 დეკემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მორიგი, IV პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ვ. ლოლაძის მოხსენება რაიონის ძირითად საწარმოებში ახალ მუშათა პოლიტიკური აღზრდისა და საწარმოო სწავლების მდგომარეობის შესახებ.

ამხ. ლოლაძემ თავის მოხსენებაში, აღნიშნა, რომ სამამულო ომის დღეებში რაიონის ძირითად საწარმოებში მოვიდა 2.500-ზე მეტი ახალი მუშა. ახალ მუშათა უმრავლესობას ყოფილი დიასახლისები და სახელოსნო სასწავლებლის მოწაფეები შეადგენენ. ბევრი საწარმო მომზადებული შეხვდა ახალ მუშათა მიღებას, დროულად დააკომპლექტეს ტექმინიმუმის შემსწავლელი წრეები, წარმოებაში ახალმოსული თითოეული ამხანაგი მიამაგრეს გამოცდილ მუშებს. ახალი მუშების პოლიტიკურ აღზრდას რაიონის აგიტატორები საჭირო ყურადღებას უთმობენ. იქ, სადაც მასობრივ-აღმზრდელობითი და საგიტაციო მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დგას, ახალი მუშები ნორმებს დიდი გადამეტებით ასრულებენ. თბილისის ადგილობრივი მრეწველობის ქარხანაში, სადაც დირექტორად არის ამხ. მელაძე, აგიტატორები ამხ. ალმოევი, კანატოვი და ემელიანოვი, სამქროში საერთო საუბრის გარდა, ახალ მუშებს დამატებით ესაუბრებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების, საწარმოში მომჭირნეობის რეჟიმისა და რკინისებური დისციპლინის შესახებ. ამიტომ არის, რომ მათ სამქროებში, ყველა ახალმოსული მუშა საწარმოო დავალებას ყოველთვის დიდი გადამეტებით ასრულებს. კარგი შედეგი გამოიღო აგრეთვე ახალი მუშების ძველ მუშებზე მიმაგრებამ. ამავე ქარხნის ცნობილმა ოსტატმა ამხ. ნოვიკმა სულ მოკლე ხანში შეასწავლა პროფესია ყოფილ დიასახლისს ლიუდმილა თეთრუევას. ამჟამად ამხ. თეთრუევა დღიურ დავალებას 200 პროცენტით ასრულებს.

ამხ. ვ. ლოლაძე შეჩერდა ახალ მუშათა პოლიტიკურ აღზრდასა და საწარმოო სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

ფანერის ქარხანაში აგიტატორები იშვიათად ატარებენ აგიტაციას. გარდა ამისა, ისინი კმაყოფილდებიან მხოლოდ გაზეთის წაკითხვით, არ ესაუბრებიან მუშებს კონკრეტულ საწარმოო საკითხებზე. ერთ-ერთ ფაბრიკაში ახალი მუშები ამხ. ტრეიმანი და სანოვიჩი უკვე სამი კვირაა მუშაობენ, მაგრამ მათთან აგიტაციას არ ატარებენ. ზოგიერთი საწარმოს მუშაკები ნაკლები სერიოზულობით ეკიდებიან მუშათა საწარმოო სწავლების საქმეს. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხანაში 46 ახალი მუშა მუშაობს, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის ჩაბმული ტექმინიმუმის შემსწავლელ წრეებში.

ამხ. ვ. ლოლაძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გოგოძემ, ჭავჭანიძემ, ალანიამ, ნაცვლიშვილმა, მელაძემ, ჯორჯაძემ და გურგენიძემ.

სტალინის რაიონის პარტორგანიზაციებში პარტიაში მიღებისათვის 1942 წლის 8 ივლისიდან 15 დეკემბრამდე ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. ვ. გევორქიანმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კახრიშვილმა, რონდელმა და ბაბაევმა.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო რეზოლუციები.

პლენუმმა სამუშაოდან გაათავისუფლა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. სვანაძე. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობის შემსრულებლად პლენუმმა აირჩია ამხ. გ. ჩომახიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგში ამხ. ბ. ლელინმა.

მოზდოკის რაიონში

მოქმედი არმია, 16 დეკემბერი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). მოზდოკის რაიონის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილებმა დასძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და განდევნეს გერმანელები სამი დასახლებული პუნქტიდან. ჰიტლერელებს დიდი ზარალი მოუვიდათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გერმანელებმა ერთი დასახლებული პუნქტი წინააღმდეგობის ძლიერ კვანძად გადააქციეს. გვარდიელ კაზაკებს მოუხდათ ნაღმიანი ღობეების, მავთულღობურათა რამდენიმე ზოლისა და წყლით ამოვსებული ორი თხრილის გადალახვა. გერმანელებმა, რომლებიც დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ ამ დასაყრდენ პუნქტს, ძლიერი საცეცხლე საშუალებებით გაამაგრეს ყველა მისი მისადგომი. ჩვენმა არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა ჩაახშეს მტრის საცეცხლე წერტების მნიშვნელოვანი რაოდენობა, ხოლო სხვა წერტები ბლოკირებულ იქნენ ჩვენი მებრძოლების მცირე ჯგუფების მიერ. პირისპირ უბანზე მტრის მოსატყუებელი ოსტატური მანევრებითა და დემონსტრაციებით კაზაკებმა ამ პუნქტს ჩამოაშორეს მოწინააღმდეგის ყურადღება და უეცრად დაარტყეს ფლანგებს. მტრის წინააღმდეგობის კვანძის შიგნით კავშირი დაირღვა. გერმანელებმა უკან დახევა იწყეს. დასახლებული პუნქტებისათვის ბრძოლებში გვარდიელებმა დახოცეს 300 ჰიტლერელი, დააზიანეს გერმანელთა 13 ტანკი და ხელთ იგდეს 9 ავტომანქანა.

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელთა ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა სცადეს შეევიწროებინათ ჩვენი ქვეგანაყოფები. მტრის მანევრი თავის დროზე გამოიაშკარავა მებრძოლმა საგუშაგო რაზმმა. მოწინააღმდეგეს ტყვიამფრქვევებისა და შაშხანების გადამღობი ცეცხლით შეხვდნენ. გერმანელებმა 50 მოკლული ჯარისკაცი და 5 დაზიანებული ტანკი დასტოვეს ბრძოლის ველზე და უკუიქცნენ თავდაპირველ პოზიციებზე.

ვ. ოშაროვსკი

რჟევის დასავლეთით

ცენტრალური ფრონტი, 16 დეკემბერი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). რჟევის დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ და ძალთა ნაწილით მტრის კონტრიერიშებს იგერიებდნენ.

მრავალი დღის ბრძოლების შემდეგ ხელთ ვიგდეთ მტრის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი. დამახასიათებელია ბრძოლა ერთ-ერთი ამ დასაყრდენი პუნქტისათვის, რომლის მისადგომებიც მჭიდროდ იყო დანაღმული, ხოლო ნაღმიან ველს გადაღმა, ბორცვებსა და მაღლობებზე, ტრანშეები და ძელმიწური საცეცხლე წერტები იყო. ამ პუნქტს გერმანელები განსაკუთრებით ძლიერ იმიტომ ამაგრებდნენ, რომ აქედან შეეძლოთ შორს ეთვალთვალნათ და ესროლნათ ადგილებისათვის.

საარტილერიო მომზადების შემდეგ ჩვენმა ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა ერთდროულად სამი მხრიდან მიიტანეს იერიში მტრის წინააღმდეგ და მის თავდაცვაში შეიჭრნენ. დაიწყო ბრძოლა ძელმიწური საცეცხლე წერტებისათვის. სერჟანტ კოლჩკოვის ათეულის მებრძოლები მიხოხდნენ დიდ ძელმიწურ საცეცხლე წერტთან და გრანატებით ააფეთქეს იგი. აქ მოსპობილ იქნა სამი ტყვიამფრქვევი მათი გუნდებიანად.

წითელარმიელები, რომლებიც ზედიზედ ართმევდნენ სახლებს მოწინააღმდეგეს, სწრაფად და გაბედულად მოქმედებდნენ. გერმანელთა თავდაცვა გატეხილ იქნა, და დასაყრდენი პუნქტი ჩვენს ხელში გადმოვიდა. ამ ბრძოლაში გაჟლეტილია მტრის მრავალი ჯარისკაცი, ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა, მათ შორის ტანკები და საწყობები სამხარ მასალიანად და სამხედრო ქონებიანად.

გუშინდელი დღე მტრის სასტიკი სატანკო კონტრიერიშებით განირჩეოდა. ცალკეულ შემთხვევებში ჩვენი ჯარების პოზიციებზე გერმანელთა 30-მდე მანქანისაგან შემდგარი ჯგუფები მოიწევდნენ. ყველა კონტრიერიში მოგერიებულია, ამასთან გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 16 დეკემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ძალების სარდლობის შტაბის ცნობით, ინგლისელთა პატრულები განაგრძობენ მოქმედებას იმ პოზიციების წინ, რომლებიც მოკავშირეთა ნაწილებს უჭირავთ. მოკავშირეთა ბომბდამშენებმა გუშინ იერიში მიიტანეს ბიზერტისა და ტუნისის ნავსადგურებზე. ბომბები მოხვდა დოკებს.

ნიუ-იორკი, 16 დეკემბერი (საკდესი). როგორც რადიოკომპანია „კოლუმბია" გადმოგვცემს, ამერიკელთა დიდძალი ჯარი, რომელსაც მნიშვნელოვანი საომარი საჭურველი აქვს, განაგრძობს გადასხდომას ჩრდილოეთ აფრიკაში. ამერიკელთა დიდი რაზმი ფეცში ჩავიდა.

ინგლისის ჯარები სდევნიან რომმელს

ლონდონი, 16 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებულ ძალთა სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისელთა მოწინავე ჯარები, მიუხედავად დანაღმული ველების სახით შექმნილი დაბრკოლებებისა, განაგრძობენ უკანდახეული მტრის შევიწროებას და ამჟამად ელ-აგეილის გაცილებით დასავლეთით იმყოფებიან.

14 დეკემბერს ღამით მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენებმა წარმატებით მიიტანეს იერიში ნეაპოლზე, რომლის ნავსადგურშიც ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. იმავე ღამეს კვლავ ძლიერ დაბომბეს ტუნისი და ლა გულეტი. გარდა ამისა, იერიში მიტანილი იყო რკინიგზაზე სუსსა და სფაქსს შუა.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ რომმელის ძალთა უმთავრესმა ნაწილმა უკვე 60-ზე მეტი კილომეტრით დაიხია უკან ელ-აგეილის პოზიციის დასავლეთით.

გაზეთ „დეილი მეილ" შესაძლოდ მიაჩნია, რომ რომმელის ჯარებმა სულაც დაიხიონ ტრიპოლიტანიიდან და შეუერთდნენ გერმანელთა ჯარებს ტუნისში, მაგრამ ამისათვის მათ მოუხდებათ გრძელი და ძნელი მანძილის გავლა უდაბურ ძნელადსავალ ადგილებში.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ნეაპოლზე

ლონდონი, 16 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის თვითმფრინავები 14 დეკემბერს ღამით კვლავ დაესხნენ თავს ნეაპოლს. დაბომბვის შედეგად ნავთის საწყობებსა და ელექტროსადგურში ბევრგან ხანძარი გაჩნდა. ბომბები ჩაჰყარეს აგრეთვე გემსაშენებში და რკინიგზის ცენტრალური სადგურის მახლობლად.

მებრძოლი საფრანგეთის წარმომადგენელი დარლანთან შეთანხმების შესახებ

ლონდონი, 16 დეკემბერი (საკდესი). მებრძოლი საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის წევრმა ანდრე ფილიპმა ა. შ. შტატებიდან დაბრუნების შემდეგ ინტერვიუ გაუმართა გაზეთ „დეილი ჰერალდის" კორესპონდენტს. „ჩვენსა და დარლანს შორის,—განაცხადა ფილიპმა,—შეუძლებელია რაიმე კომპრომისი. ჩვენი რწმუნებული პირებისაგან, რომლებიც საფრანგეთში არალეგალურად მუშაობენ, მივიღეთ წერილები, სადაც ისინი კატეგორიულად გვაფრთხილებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე შეთანხმება დაიდეთ დარლანთან, მოღალატეებად ჩაგვთვლიან. ყოველგვარი გადახვევა ჩვენი ახლანდელი ხაზიდან იმას გამოიწვევდა, რომ საფრანგეთის წინააღმდეგობის ორგანიზებული სულისკვეთება გატეხილი იქნებოდა. ეს უფრო საშიში იქნებოდა მოკავშირეთა საქმისათვის, ვიდრე ის ნავარაუდევი საფრთხე, რომელიც თითქოს თავიდან იქნა აცილებული მოკავშირეების მიერ ჩრდილოეთ აფრიკაში დარლანის აღიარების შედეგად. დარწმუნებული ვარ, რომ ახლანდელი შეთანხმება მართლაც დროებითია და რომ როგორც კი დამთავრდება ბრძოლა ტუნისში, საქმე გამოსწორებული იქნება".

ანტიგერმანული დემონსტრაცია ტურინში

ანკარა, 16 დეკემბერი (საკდესი). ადგილობრივ უცხოელთა წრეებში გაიგეს, რომ რამდენიმე დღის წინათ სტიქიურად იფეთქა ტურინის მოსახლეობის დემონსტრაციამ. დემონსტრანტთა შორის ბევრი ქალი იყო. დემონსტრანტებმა ქალაქის მთავარი ქუჩები აავსეს და იძახოდნენ: „მოვითხოვთ ზავს!". „გავრეკოთ გერმანელები იტალიიდან!". პოლიცია უძლური აღმოჩნდა იმისათვის, რომ გაეფანტა დიდძალი ხალხი. პოლიციის დასახმარებლად გამოწვეულ იქნენ ქალაქში დაბანაკებული გერმანელთა ჯარები. მათ სროლა აუტეხეს დემონსტრანტებს. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ამის პასუხად მეორე დღეს გაიფიცნენ ადგილობრივ საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები.

როგორც იუწყებიან, დემონსტრაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ უკანასკნელი კვირის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობას პური ბარათებით დიდი შეფერხებებით ეძლეოდა. მოსახლეობის პურით მომარაგება განსაკუთრებით გაუარესდა მას შემდეგ, რაც ქალაქში შეიყვანეს გერმანელთა ახალი ჯარის ნაწილები. ადგილობრივმა ფაშისტმა ხელისუფლებმა ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ თუნდაც არსებული საშიმშილო ნორმებით რეგულარულად მოემარაგებინათ მოსახლეობა პურით. ტუნისში დაბანაკებულ გერმანელთა ჯარების მომარაგება ადგილობრივი რესურსების ხარჯზე ხდება.

განხეთქილება კვისლინგელთა ბანდაში

სტოკჰოლმი, 15 დეკემბერი (საკდესი). შვეცია-ნორვეგიის პრესბიურო იუწყება, რომ კვისლინგელთა შორის დიდი წრევულობაა. ნორვეგიის მთელი რიგი ადგილებიდან იუწყებიან, რომ გახშირდა კვისლინგელთა „პარტიიდან" გასვლა. კვისლინგელთა შორის განხეთქილება თავის გამოხატულებას პოულობს სხვადასხვა დაჯგუფების წარმომადგენელთა კინკლაობაში. კვისლინგი ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ბანდა და ხელი შეუშალოს მის დაშლას, რისთვისაც რეპრესიულ ზომებს მიმართავს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც განცხადება შეაქვთ „პარტიიდან" გასვლის შესახებ.

საგაფიცვო მოძრაობა საბერძნეთში

ლონდონი, 15 დეკემბერი (საკდესი). ბერძნული არალეგალური გაზეთების ცნობებით, საბერძნეთში ფართო ხასიათი მიიღო საგაფიცვო მოძრაობამ. ამ მოძრაობის პირველი ტალღა საბერძნეთს აპრილში მოედო, როდესაც მრავალ ქალაქში იფეთქა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა, ტრანსპორტის მუშაკთა და ფაბრიკა-ქარხნების მუშათა გაფიცვებმა.

4 თვის შემდეგ საგაფიცვო მოძრაობის მეორე ტალღა აზვირთდა. ათენსა და პირეიში იფეთქა ტრამვაელების, საავადმყოფოთა მოსამსახურეების, მშენებელთა და მელითონეთა გაფიცვამ.

საბერძნეთში შექმნილია „გაფიცულთა ცენტრალური კომიტეტი", რომლის მოწოდებითაც ათენში მასობრივი დემონსტრაცია გაიმართა „მთავრობისა" და ოკუპანტების წინააღმდეგ. დემონსტრანტების კოლონები ორ საათს გადიოდნენ ქალაქის ქუჩებში. პოლიციამ 800-ზე მეტი კაცი დააპატიმრა. მეორე დღეს დახვრიტეს მუშათა ჯგუფი, ბევრნი სამხედრო სასამართლოს გადასცეს. მიუხედავად ტერორისა, გაფიცვა მანამდე გაგრძელდა, სანამ დამფრთხალმა ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილეს გაფიცულთა მთელი რიგი მოთხოვნები.

ათენსა და პირეიში გამართულმა გაფიცვებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვეს მთელ საბერძნეთში. ბერძენი პატრიოტების ბრძოლა გერმანელი და იტალიელი ოკუპანტების წინააღმდეგ კვლავ ძლიერდება.

ილჩინი ბალკანეთში შექმნილი მდგომარეობისა და ბულგარეთ-თურქეთის ურთიერთობის შესახებ

სტამბოლი, 15 დეკემბერი (საკდესი). გაზეთ „ენი საბაჰის" რედაქტორმა ილჩინმა გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია ბალკანეთში შექმნილი მდგომარეობისა და ბულგარეთ-თურქეთის ურთიერთობის შესახებ.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვითარება ბალკანეთში და განსაკუთრებით ბალკანეთის ოკუპირებულ ქვეყნებში უფრო და უფრო დაძაბული ხდება. მისი სიტყვით, ბულგარეთი „ქვაბია, რომელიც მზად არის ყოველ წუთს აფეთქდეს. იუგოსლავია განუწყვეტელი ბრძოლის ასპარეზია. საბერძნეთი მხარდი წინააღმდეგობის ქვეყანაა. ალბანეთი ის ქვეყანაა, სადაც პარტიზანული ბრძოლა ძლიერდება".

ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში აღდგენილ იქნება ალბანეთის დამოუკიდებლობა.

ილჩინი სპეციალურად ეხება ბულგარეთ-თურქეთის ურთიერთობას. ავტორი აღნიშნავს, რომ ბულგარელები „დროდადრო თურქებთან მეგობრობაზე ლაპარაკობენ. მაგრამ მათ ვერასგზით ვერ აუღიათ ხელი მისწრაფებაზე, რომ თავიანთი საზღვრები გაიფართოონ თურქეთის ხარჯზე. ამიტომ, როცა ისინი მეგობრობაზე გველაპარაკებიან, ჩვენ ვიცით, რომ ისინი ფარისევლობენ". ავტორის სიტყვით, „ბულგარელები არ დაკმაყოფილდნენ იმით, რაც ხელში ჩაიგდეს. მათ თვალი უჭირავთ კიდევ ზოგიერთ ტერიტორიაზე, მაგრამ ამას ჯერჯერობით აშკარად არ ამბობენ". შემდეგ ილჩინი კითხულობს: „რატომ აცხადებენ ბულგარელები, ჩვენი იდეალები მთლიანად არ არის განხორციელებულიო? იმიტომ, რომ მათ იმედი აქვთ ხელში ჩაიგდონ ჩვენი თრაკია".

ილჩინი სიფხიზლისაკენ მოუწოდებს თურქეთის საზოგადოებრივ აზრს ბალკანეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

რუმინეთში უკმაყოფილება მწვავდება

ლონდონი, 16 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რუმინეთის არმიის უდიდესი ზარალი და რუმინეთის განსაკუთრებული მძიმე სასურსათო მდგომარეობა მოსახლეობის პესიმიზმსა და უკმაყოფილებას იწვევს. უკანასკნელ ხანს სახლების კედლებზე ჩნდება ანტიგერმანული და მთავრობის საწინააღმდეგო წარწერები. გაჩნდა ქაღალდის ფული, რომელზეც დაბეჭდილით გაკეთებულია წარწერა: „ჩვენ მშვიდობიანობა გვინდა! ძირს ანტონესკუ! ძირს ჰიტლერი!". რუმინეთში ვრცელდება სხვადასხვა ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციამ დაიწყო სპეციალური კამპანია „მოჩურჩულეთა პროპაგანდის" წინააღმდეგ.

უცხოეთის ქრონიკა

ინდოეთის ოკეანეში ჩაძირულ იქნა გერმანიის 8.000 ტონა წყალწყვის სატვირთო გემი, რომლითაც ძვირფასი ტვირთები გადაჰქონდათ ევროპაში.

კოპენჰაგენში დააპატიმრეს მრავალი პირი, რომელთაც ბრალდებათ არალეგალური ორგანოს „თავისუფალი დანიის" გამოცემა.

15 დეკემბერი. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აბესალომ და ეთერი" თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. სურათზე: მსახიობები როლებში — დ. ანდღულაძე (აბესალომი), ე. გოსტენინა (ეთერი) და პ. ამირანაშვილი (მურმანი).

„აბესალომ და ეთერი"

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალი დადგმა

„აბესალომ და ეთერი" კლასიკური ნაწარმოებია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — ასეთი შეფასება მისცა „პრავდამ" ამ უბადლო ოპერას, რომელიც დღეს ამშვენებს საბჭოთა კავშირის გამოჩენილი საოპერო თეატრების სცენას. „აბესალომ და ეთერი" ეპიკურ-ლირიკული ნაწარმოებია. კომპოზიტორმა დიდი ოსტატობით გამოიყენა მდიდარი ხალხური მუსიკალური საუნჯე. ოპერის ხალხურობა განსაკუთრებით გამძღავნებულია გუნდებსა და ცეკვებში. მელოდიური მასალის მთლიანობა, მისი სიმფონიური დამუშავების სანაქებო წყობა, ოპერის ძირითად გმირთა მუსიკალური ხასიათების სიღრმე და ძალა, შესანიშნავი მასობრივი სცენები წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებენ მაყურებელზე. „აბესალომ და ეთერი" ჩვენი მუსიკალური კულტურის განძია და ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომლითაც საბჭოთა საზოგადოებრიობა ხვდება ამ ოპერის ყოველ ახალ დადგმას.

ოპერის ახალი დადგმა, რომელიც თბილისის საოპერო თეატრმა განახორციელა სამამულო ომის მძაფრ ვითარებაში, დიდ ინტერესს წარმოადგენს. დირიჟორმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა გრ. კილაძემ, რეჟისორმა მ. კვალიაშვილმა, მხატვარმა ე. ახვლედიანმა და ბალეტმაისტერმა დ. ჯავრიშვილმა დადგმა გვიჩვენეს ახალი ინტერპრეტაციით. მიზანსცენები, ხასიათების გახსნა, მოქმედების განვითარება ძირითადად გამომდინარეობს მუსიკალური მასალიდან, პარტიტურიდან. ერთგვარი სტატიურობა, რაც „აბესალომ და ეთერს" ახასიათებს, თეატრმა შეარბილა, გამოაცოცხლა მასობრივი სცენები, გააძლიერა მოქმედება, ისე რომ ოპერის მონუმენტალურობა კიდევ უფრო ხაზგასმული აღმოჩნდა. აღდგენილია დედინაცვლის სცენა, რაც ასაბუთებს ეთერის გადაწყვეტილებას — მიენდოს აბესალომის სიყვარულს. მეორე აქტი (ქორწილი) ნამდვილ ოპერულ, გრანდიოზულ სანახაობად გადაიქცა და მაყურებლის ოვაციებს იწვევს. საერთოდ კარგად არის გაკეთებული მასობრივი სცენები. მესამე მოქმედებაში დამდგმელს სწორად მიაქვს მაყურებლამდე ეთერისა და აბესალომის განშორების ეპიზოდი. საერთოდ, ეს სცენა ყოველთვის სადისკუსიო იყო. თეატრი ასე გვიხსნის ამ ეპიზოდს: აბესალომმა იცის, რომ ეთერი მის ხელშია ავად, თუ წავიდა სასახლიდან, მორჩება. იმისათვის, რომ საყვარელი არსება განკურნოს, ბედნიერი გახადოს, მსხვერპლად მიაქვს თავისი სიყვარული. განშორების სცენა რეჟისორს კარგად აქვს მოფიქრებული.

ოპერის მუსიკალური ინტერპრეტაციის შეფასებისას დავას იწვევს ადგილ-ადგილ ტემპების აჩქარება, მაგრამ დირიჟორმა გ. კილაძემ სწორად გადმოგვცა ზ. ფალიაშვილის მომხიბვლელი მუსიკა. ორკესტრი შეწყობილად ჟღერდა და მომღერლებს არ ახშობდა. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ ადგილებში („წამწამსა და წამწამს შუა", აბესალომისა და მურმანის დუეტი) ტემპების შენელებით შესრულება მოიგებს.

მხატვრული გაფორმება კარგია. განსაკუთრებით აღვნიშნავთ მეფის სასახლეს, მეოთხე მოქმედების მშვენიერ ხედს. თეატრი კარგად მოიქცა, რომ ბროლის სასახლე სცენაზე არ აავო, შორს, პერსპექტივაში მოცემული სასახლე სწორედ გამოხატავს იმას, რასაც ხალხი გულისხმობს ბროლის სასახლეში. მაგრამ დეფექტები მხატვრულ გაფორმებას მაინც აქვს. მეორე აქტში ერთობ ჭრელია, თვალსაფერადებიანი ფრესკა. დეკორაციები კიდევ უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენს, რომ ხეირიანად იყოს განათებული. სამწუხაროდ, განათება სცენაზე არ არის დამაკმაყოფილებელი.

ზოგიერთ ნაკლზე დამდგმელსაც უნდა მივუთითოთ. უპირველეს ყოვლისა, ზედმეტია ჯადოსნის სცენაზე გამოყვანა. მისთვის არც კომპოზიტორს დაუწერია მუსიკა და უმისოდაც ნათელია, რომ მურმანმა ჯადო იშოვა ეთერისათვის. პირველ მოქმედებაში, ნადირობის სცენაში მოძრაობას ზომიერება მოუხდება, ხოლო მურმანის მიერ აბესალომისათვის ისრის დამიზნება გაუმართლებელია. მეორე აქტში ქორწილის სცენა კარგად არის მოფიქრებული, მაგრამ გადატვირთულია. ხმლით ქალისთვის მანდილის გადაძრობა და შუამავლისათვის მკლავზე ნიშნის შებმა რომ მოიხსნას, საერთო სანახაობა უფრო მოიგებს. ხმლებიც მარჯვენა ხელში უნდა ეჭიროთ მაყრებს.

სადავოდ მიგვაჩნია ორი მიზანსცენა. მეორე მოქმედებაში მურმანი ხაზგასმით განდგომილია. ასე განდგომა ვეზირისა, რომელიც აბესალომის მეგობარია, ყველასათვის თვალსაჩინო გახდებოდა. არც აბესალომის ტახტრევნით შემოყვანა (IV აქტი) მიგვაჩნია სწორად. უფრო გამართლებული იქნებოდა, აბესალომი რომ მსახურთა დახმარებით შემოდიოდეს.

საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებს ბალეტი. საფაროვა-სუხიშვილი (ლეკური) და ბაუერი (მირზაია) მთელ კორდებალეტთან ერთად თვალწარმტაც სანახაობას ჰქმნიან.

შემსრულებლებმა სამართლიანად დაიმსახურეს დარბაზის მქუხარე ტაში. დ. ანდღულაძის (აბესალომი) თბილი, ხავერდოვანი, მომღერლისე ხმა და ძლიერ განცდათა გულწრფელობა, რაც ჰარმონიულად არის ჩაქსოვილი ერთმანეთში, ისე როგორც პ. ამირანაშვილის (მურმანი) მშვენიერი, ძლიერი ხმა და წარმოსადეგობა დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს. შესრულების ნამდვილი ტრიუმფი იყო მეოთხე მოქმედების დუეტი. ე. გოსტენინას ეთერი მომხიბვლელია. მსახიობი დიდი ექსპრესიით ატარებს მთელ როლს. მშვენიერად ასრულებს მარიხის როლს ნ. ხარაძე, ოღონდ ვერ დავეთანხმებით მეორე მოქმედებაში ცეკვით სიმღერას. აღსანიშნავია ე. ხიდაკაძის (ნათელა), გ. გრიგოლაშვილის (აბიო), გ. შმალცელის (ნანა), ზ. სვანიძის (თანდარუხი), ბელქანიას (დედინაცვალი) მიერ როლების სავსებით დამაკმაყოფილებლად შესრულება. მ. ცაგურიამ უნდა დაიცვას ზომიერება და არ უნდა გამოეყოს ანსამბლს.

„აბესალომ და ეთერის" ახალი დადგმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის აქტივში ჩაიწერება, როგორც ერთი ახალი ნაბიჯის გადადგმა ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების საქმეში.

მ. ლაშქარაშვილი

ნეკროლოგი

ი. ზ. თარხნიშვილი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მევენე-აგრონომი ამხ. იორამ ზაალისძე თარხნიშვილი.

ი. ზ. თარხნიშვილი დაიბადა წითელ ქალაქში 1870 წელს. სასოფლო-სამეურნეო სკოლის დამთავრების შემდეგ ის გაემგზავრა ყირიმს, სადაც დაამთავრა მევენეობის სპეციალური სასწავლებელი და 1899 წლიდან დაიწყო პრაქტიკული მუშაობა. 1908 წლიდან იგი განუწყვეტლივ მუშაობდა თბილისში, მევენეობის დარგში.

მუშაობის 43 წლის მანძილზე ამხ. ი. თარხნიშვილი თავის დაუშრეტელ ენერგიას და მაღალ ცოდნას ახმარდა მევენეობის განვითარების საქმეს. იგი განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა ხარისხოვანი მევენეობისათვის ახალგაზრდა კადრების აღზრდას.

სამამულო ომის პერიოდში ამხ. თარხნიშვილი განსაკუთრებული ენერგიითა და ნამდვილი საბჭოთა პატრიოტული გრძნობით თავდადებულად მუშაობდა ხარისხოვანი პროდუქციით ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მომარაგებისათვის და საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ამხ. თარხნიშვილის მოღვაწეობა მევენეობის დარგში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჯეროვნად იქნა დაფასებული და ის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1942 წელს დაჯილდოებულ იქნა მაღალი ჯილდოთი—საპატიო ნიშნის ორდენით.

პ. აზარაშვილი, მ. ზირაქიშვილი, პ. ხოხაძე, ვ. კანდელაკი, გ. მგალობლიშვილი, პ. ხეცურიანი, კ. ლეკვეიშვილი, ლ. ზაქარაშვილი, კ. მგალობლიშვილი, ნ. ვარდანაშვილი, ნ. ჩანტლაძე, ვ. კიკაჩეიშვილი.

თეატრებში

18 დეკემბერს: სახოპერა — „ბოშათა ბარონი". რუსთაველის სახელობის — „სამშობლო". მარჯანიშვილის სახელობის — „მარგარიტა გოტიე". გრიბოედოვის სახელობის — „ერთი ღამის შეცდომები". სომხური თეატრი — „ინჟინერი სერგეევი". ახუნდოვის სახელობის — „აშუღ ყარიბი". მუსიკალური კომედიის — „არშინ-მალ-ალან". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „შურისძიება".

კინოებში

რუსთაველის სახ. — „ომის ერთი დღე", ოქტომბერი — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან". დამკვრელი — „მშვენიერი ვასილისა". კომკავშირელი — „მეზღვაურები", სპარტაკი — „აიგიულ". ლუქსემბურგის სახ. — „ტანკერი „დერბენტი"". 26 კომ. სახ. — „ზღვის ქორი".

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე გ. ჯიბლაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტი
აცხადებს, რომ ა. წ. 29 დეკემბერს, საღამოს სრულ 7 ს. და 30 წუთზე, დიდ აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34-36) შესდგება ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად საჯაროდ დაიცავს დისერტაციას ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **ვალერი პეტრეს-ძე გოგუაძე** თემაზე: „ფენილეთილ ალკოჰოლის ახალი წარმოებულების სინთეზი".
ოფიციალური ოპონენტები: ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ი. ზალკინდი და ბიოქიმიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი პ. ქომეთიანი.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება ყოველდღე ქიმიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 5½ საათამდე.
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი მ. შიშნიაშვილი

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან **იორამ ზაალის-ძე თარხნიშვილის** გარდაცვალებას. 1634

სამტრესტის კონიაკ-არყის ქარხნის დირექცია და მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან № 1 ქარხნის მთავარი მეღვინის ორდენოსან **იორამ ზაალის-ძე თარხნიშვილის** გარდაცვალებას. 1635

მოლოტოვის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის წევრი-ადვოკატები იუწყებიან ვლადიმერ გიორგობიანის უახლოესი ნათესავის შვილის **ოთარ თეოფილეს-ძე გიორგობიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17/XII, 3 ს. მარის ქ. № 17 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1637

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის თანამშრომლები იუწყებიან ზინა გეგეშიძის მამის **თორნიკე გეგეშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/XII, სოფ. დიმში. 1636

გორის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილება იუწყება, რომ 20/XII, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ექიმ აკაკი კაჭარავას შვილის **ზ უ რ ა ბ ი ს** სამოქალაქო პანაშვიდი. 1630

საქ. მიწსახკომის მებაღეობა-მევენეობის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან განყოფილების გამგის ქანა ნემსაძის ძმისწულის **სოსიკო ნემსაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19/XII, სოფ. ნაგარებში (ქუთაისის რაიონი). 1631

სამტრესტის ლიქიორის ქარხნის თანამშრომლები იუწყებიან **იორამ ზაალის-ძე თარხნიშვილის** გარდაცვალებას. 1632

საქ. უსინათლოთა საზოგადოების მუშაკთა კოლექტივი იუწყება, რომ 20/XII, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია საგეგმო განყოფილების უფროსის ვარდენ კიკაჩეიშვილის ძმის **კონსტანტინე იოსების-ძე კიკაჩეიშვილის** სამოქალაქო პანაშვიდი. 1633

პოდპოლკოვნიკი შ. ჩინჩალაძე

წითელი არმიის ახალი რეზერვი

ამ დღეებში დამთავრდა მესამე რიგის საყოველთაო სამხედრო სწავლების მეცადინეობა. მესამე რიგის სწავლების შეჯამებასთან ერთად ჩვენ შეგვიძლია შევაჯამოთ აგრეთვე მთელი ის მუშაობა, რომელიც ჩატარებულია მიმდინარე წელს მოსახლეობის სამხედრო მომზადების დარგში.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების თანახმად საყოველთაო სამხედრო სწავლება დაიწყო 1941 წლის ოქტომბრიდან. 1942 წლის განმავლობაში ჩვენ საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლთა სამი წყება მოვამზადეთ. ათასობით მოქალაქე ზედმიწევნით დაეუფლა სამხედრო საქმეს. ბევრი მათგანი ამჟამად სამამულო ომის ფრონტებზე იმყოფება და თავისი საუკეთესო მომზადებით და საბრძოლო უნარით მოწინავე მებრძოლთა რიგებში ითვლება.

მესამე რიგის საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლთა შესამოწმებელ გამოცდებზე, რომლებიც ამ დღეებში დამთავრდა, გამომჟღავნდა მათი მომზადების მაღალი დონე და სამხედრო დისციპლინების საუკეთესო ცოდნა. საკმარისია ითქვას, რომ შემოწმებულ მებრძოლთა შორის ფრიადი და კარგი შეფასება მიიღო 71,4 პროცენტმა, ხოლო არადამაკმაყოფილებელი შეფასება არ ჰქონია არც ერთ მებრძოლს. მომზადების მხრივ ქალაქის მასშტაბით პირველ ადგილზე გამოვიდა ორჯონიკიძის რაიონი (სამხედრო კომისარი მაიორი ბ. გაბუნია, ბატალიონის მეთაური უფროსი ლეიტენანტი ზარები), მეორე ადგილზე — მოლოტოვის რაიონი (სამხედრო კომისარი მაიორი ვ. ცქიტიშვილი, ბატალიონის მეთაური დრიაევი), მესამე ადგილზე — ბერიას რაიონი (სამხედრო კომისარი მაიორი ვ. ღლონტი, ბატალიონის მეთაური მაიორი ჩიხლაძე) და ა. შ. ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარიატმა მეორე გასამხედროებულ სპარტაკიადაში საუკეთესო შედეგები გვიჩვენა და საქ. სს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის და საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა შეინარჩუნა. გარდა ამისა, ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარიატმა ოქტომბრის დღესასწაულთან დაკავშირებით საქ. სს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატისაგან მიიღო ამხ. ს. ორჯონიკიძის ბიუსტი წარწერით: „საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლთა საუკეთესო მომზადებისათვის". კარგად მუშაობდნენ ასეულის მეთაურები უმცროსი ლეიტენანტები ყარანგოზიშვილი და მარჯანიშვილი, ოცეულის მეთაურები კაპიტანი ხუციშვილი, უმცროსი ლეიტენანტი დონაძე, კაპიტანი ჩიქოვანი, ათეულის მეთაურები ბელორუჩევი, ზალდასტანიშვილი, აბუაშვილი და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მესამე რიგის საყოველთაო სამხედრო სწავლების განმავლობაში დიდი მუშაობა ჩაატარა მოლოტოვის რაიონის სამხედრო კომისარიატმა, რომელმაც მეორე რიგის სწავლების დროს მიღწეული მეექვსე ადგილის ნაცვლად ახლა მეორე ადგილი დაიკავა მებრძოლთა მომზადების დონის მხრივ. ინსტრუქტორებმა კაპიტანმა მეგრაბიანმა და გვარდიის ლეიტენანტმა ფხაკაძემ, ბატალიონის ადიუტანტმა ლეიტენანტმა შ. სანიკიძემ, ასეულის მეთაურმა ი. ტელეშევმა, ოცეულის მეთაურმა უმცროსმა ლეიტენანტმა გ. ძოწენიძემ, ათეულის მეთაურმა ა. იორდანიშვილმა და სხვებმა ენერგიულად იმუშავეს იმისათვის, რომ სათანადო დონეზე დაეყენებინათ მოსახლეობის სამხედრო მომზადება.

უნდა ითქვას, რომ თვით მოსახლეობა, რომელსაც სავსებით შეგნებული აქვს სამამულო ომის ვითარებაში საყოველთაო სამხედრო მომზადების მნიშვნელობა, გულმოდგინედ მოეკიდა სამხედრო ხელოვნების შესწავლას. მესამე რიგის სწავლების განმავლობაში ძალიან ცოტა იყო არასაპატიო მიზეზით სწავლების გაცდენის შემთხვევები. მესამე რიგის სწავლების მებრძოლებმა შ. ენუქიძემ, გ. თოლორდავამ, ვ. იაშვილმა, რ. ბანტმა, ა. ბურაკმა, მ. მამნიაშვილმა, ვ. მალკომ, ნ. სნეგირიოვმა და სხვებმა ფრიადზე ჩააბარეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა დისციპლინა და მეორე გასამხედროებულ სპარტაკიადაზე საუკეთესო მაჩვენებლები მოგვცეს სროლაში, სანგრების თხრაში, ხოხვაში, ტანკების განადგურებაში და სხვ.

მთელი სწავლების განმავლობაში ფართოდ იყო გაშლილი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ქვეგანაყოფებში ტარდებოდა საუბრები, ლექციები, პოლიტინფორმაცია სამამულო ომის, ჩვენი გმირული წარსულის თემებზე და საერთაშორისო საკითხებზე, მებრძოლებმა ღრმად შეისწავლეს დიდი მხედართმთავრის — ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენება და ბრძანება. ყოველივე ეს ზრდიდა მებრძოლებში სამშობლოსადმი სიყვარულს და ერთგულებას, საზიზღარი მტრისადმი მწვავე სიძულვილს.

იმ ნაყოფიერ მუშაობაში, რომელიც ჩაატარეს ქალაქის სამხედრო კომისარიატის და ქალაქის რაიონების სამხედრო კომისარიატების მუშაკებმა, მათ ენერგიულ დახმარებას უწევდნენ რაიონის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები. ამ მხრივ სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგნენ ზოგიერთ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომლებმაც ისე ვერ მოაწესრიგეს მუშაკთა მუშაობის საათები, რომ მათ ხელი არ შეშლოდათ მეცადინეობაზე დასწრებაში. მეცადინეობის გაცდენის შემთხვევების უმრავლესობა სწორედ ამ მიზეზით იყო.

სამამულო ომის ამ მრისხანე ვითარებაში, როდესაც გააფთრებული მტერი უკანასკნელ ძალ-ღონეს ძაბავს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კარგად მომზადებულ, ბრძოლისუნარიან მეომარს. საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლებსა და მეთაურებს შეგნებული აქვთ ეს ამოცანა და არ იშურებენ ძალ-ღონეს, რათა შეუქმნან ჩვენს სახელოვან წითელ არმიას საუკეთესო რეზერვი. მთელს ჩვენს მუშაობას მტკიცე საძირკვლად უდევს გენიალური მხედართმთავრის—დიდი სტალინის ბრძნული მითითებანი.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 7960